# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № – 20

ქ. თეთრიწყარო 25 მაისი 2011 წელი

ერთის მხრივ ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ (შემდეგში „შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. “კომპაუდი” (შემდგომში „მიმწოდებელი”) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ 2008-2010 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული მომსახურების შესყიდვა; /79212000/.

## 2.ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (გადასახდების გათვალისწინებით) შეადგენს 600 (ექვსი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდებს.

## 3. მხარეთა მოვალეობანი:

*„მიმწოდებელი“ ვალდებულია*

3.1. 2011 წლის 10 ივნისამდეუზრუნველყოს აუდიტორული შემოწმება და შესაბამისი ანგარიშის შედგენა.

*„შემსყიდველი“ ვალდებულია:*

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისდროულად და ხარისხიანად შესრულების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 4. ანგარიშსწორება:

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება. მომსახურების დასრულებისა და ანგარიშის შედგენის შემდეგ შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი:

6.1. მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

## 7. ფორს-მაჟორი:

7.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორულ შემთხვევად ითვლება სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, შეიარაღ ებული კონფლიქტი, სამოქალაქო არეულობა, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

### 10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს ------------------------------------.
10.2 გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

### 11. დავის გადაწყვეტა:

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

### 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 27 მაისიდან 2011 წლის 01 ივლისამდე.

### 13. მხარეთა იურიდიული მისამართი

| „შემსყიდველი": | „მომწოდებელი": |
|---|---|
| ააიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი" | შპს ``კომპაუდი" |
| მის:თეთრიწყარო,რუსთაველის 9 | მის: თბილისი, აკ. წერეთლის ქ. №95ა |
| ს/კოდი; 430797140 | ს/კოდი: 202385169 |
| ა/ა GE49LB0115135592420000 | ა/ა № 192631800 |
| ს/ს"ლიბერთი ბანკი"თეთრიწყაროს | ს/ს „საქართველოს ბანკი"–ს |
| ფილიალი 428 | ცენტრალურიფილიალის სერვის ცენტრი №19 |
| ბ/კოდი 220101428 | ბ/კოდი: BAGAGE22 |

### 13. მხარეთა ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| შოთა ეფხოშვილი | ივანე ფანცულაია |
| ააიპ„თეთრიწყაროს კულტურის ცენტრის" დირექტორი | შპს "კომპაუდი"-ს დირექტორი |

430797140

GEORGIA "KOMPAUDI" LTD 202385169